



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 9 თებერვალი

დისციპლინური საქმე №1/22
მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- 2022 წლის 11 იანვრის №1 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 18 იანვრის №41/11-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის აზრით, მოსამართლემ არ გაიზიარა მისი კანონიერი მოთხოვნები და ასევე, არ დაუნიშნა რეესტრის ადვოკატი.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, მას დროულად არ ჩაბარდა განჩინება.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2021 წლის 14 სექტემბერს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს ---.

2021 წლის 29 სექტემბერს სასამართლოს განცხადებით მიმართა --- და მოითხოვა სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნა. --- სასამართლოს --- 2021 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით --- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; --- დაენიშნა ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

2021 წლის 3 დეკემბერს, 7 დეკემბერს და 10 დეკემბერს --- განცხადებებით მიმართა --- სასამართლოს --- და განმარტა, რომ მართალია სასამართლოს მიერ დაენიშნა ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, მაგრამ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი ---, სათანადოდ არ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას, არ ეხმარება სწორი, დაზუსტებული სარჩელის შედგენასა და წარმოდგენაში, შესაბამისად, ითხოვა რეესტრის ადვოკატის დანიშვნა.

--- სასამართლოს --- 2021 წლის 14 დეკემბრის განჩინებით --- მიერ წარდგენილი განცხადებები (შუამდგომლობები) რეესტრის ადვოკატის დანიშვნის თაობაზე დარჩა განუხილველი.

--- სასამართლოს --- 2021 წლის 29 დეკემბრის განჩინებით --- უარი ეთქვა 2021 წლის 14 სექტემბერს --- სასამართლოში წარმოდგენილი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, მასვე უკან დაუბრუნდა სარჩელი და თანდართული დოკუმენტები. აღნიშნული განჩინებები 2022 წლის 10 იანვარს კერძო საჩივრებით გაასაჩივრა ---.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის N^{დს-შ/9-16} გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მას სასამართლომ არ დაუნიშნა მისთვის სასურველი ადვოკატი რეესტრიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ მხარე გადახდისუუნაროა და, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, ამ საქმის განხილვაში ადვოკატის მონაწილეობა მიზანშეწონილია, სასამართლოს უფლება აქვს, აღნიშნული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹ მუხლით დადგენილ ფარგლებში დანიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ხოლო 2¹ ნაწილი ადგენს, რომ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება და მიმართავს იურიდიული დახმარების სამსახურს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის მოთხოვნით.

უნდა აღინიშნოს, რომ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით საჩივრის ავტორს დაენიშნა ადვოკატი სახელმწიფო ხარჯზე. შესაბამისად, აღნიშნულზე მსჯელობა სცდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას. ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. -- -- 2022 წლის 11 იანვრის №1 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 პუნქტი).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №1/22 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2 პუნქტი).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი